პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 თებერვალი
კვირა
1969
ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 28 (14328)

ლენინურ შრომითს ვაცხოვრებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის პირველი — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქცია ნაბეჭდია კავშირის 176 საწარმოსა და საზღვარგარეთის 26 ქვეყანას ეგზავნება. წლითიწლობით იზრდება ქარხნის სიმძლავრე. ზესტაფონელმა მეტალურგებმა ელექტროლიტური მარგანეცის წარმოებაში დანერგეს ღარიბი მადნის გამოყენების ურთულესი პროგრამა.

აქ აღიზარდა მრავალი მაღალკვალიფიციური მეტალურგი. საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატების სამაპატიო წოდებები, მრავალი მოწინავე მუშა არჩეულია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს, რესპუბლიკის, საქალაქო, რაიონული საბჭოს დეპუტატებად. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს, რომელთა სახელიც ცნობილია არა მარტო საწარმოს, არამედ რესპუბლიკის საზღვრებს გარეთაც: ქარხნის მთავარი ინჟინერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გიორგი სიორიძე, ცვლის უფროსები, სოციალისტური შრომის გმირები კონსტანტინე მდივანი და ბაგრატ მელქაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ლევან გაჩიჩილაძე და სხვანი.

საწარმოში მრავალი პატრიოტული წამოწყების ინიციატორები და სულისჩამდგმელები კომუნისტები და კომკავშირელები არიან. ქარხანაში 800 კომუნისტი და 625 კომკავშირელია.

დიდი ყურადღება ექცევა მეტალურგების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას. მათ განკარგულებაშია კარგად მოწყობილი მუშათა კლუბი, ბიბლიოთეკები, სასადილოები, აფთიაქები, მუშა-ახალგაზრდობის, საშუალო, სპეციალური, მუსიკალური სკოლები.

* * *

სურათებზე: ზემოთ — № 2 საამქროს № 14 ღუმელის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლევან გაჩიჩილაძე (ცენტრში) ხელმძღვანელობს, ჩამომსხმელები ლევან ხათრიძე (მარცხნივ) და ვაჟა კაპანაძე. ცვლის განმავლობაში ბრიგადა იძლევა 1,5 ტონა ფეროშენადნობებს გეგმის გადაჭარბებით. ქვემოთ № 4 საამქროს შიდა ხედი.

ფოტო ბ. გერსამიასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# წითელწყაროს, სიღნაღის, ზუგდიდისა და ბოგდანოვკის რაიონების მეცხოველეთა პატრიოტული ინიციატივა

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა პრესაში გამოქვეყნებული ინიციატივა წითელწყაროს, სიღნაღის, ზუგდიდისა და ბოგდანოვკის რაიონების მეცხოველეებისა, რომლებმაც რესპუბლიკის ყველა მეცხოველეს მოუწოდეს გადააქციონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ და შემოსავლიან დარგად და იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი 1969-1970 წლებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს მხარი დაუჭირონ ამ რაიონების მეცხოველეთა ინიციატივას და გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოებში საკვები ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის, პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებისათვის, ფერმების მექანიზაციისათვის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოების ყოველნაირად გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ გაზეთებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს ევალებათ გააშუქონ პრესის ფურცლებზე, გადასცენ რადიოთი და ტელევიზიით მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა. (საქდესი).

□ □

# საზოგადოებრივ მეცხოველეობას — მეტი ყურადღება

**ჩვენს** ქვეყანაში განუხრელად იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულზე. ამ პირობებში მოწამოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა დარგის აღმავლობა დაჩქარებული ტემპით უნდა მიმდინარეობდეს. საამისოდ კომუნისტური პარტია სახავს მნიშვნელოვან ეკონომიურ ღონისძიებებს და თანმიმდევრულად ახორციელებს მათ. სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებს ფართო ადგილი უჭირავს პარტიის XXIII ყრილობის გადწყვეტილებებში. ეს საკითხები გულდასმით განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და 1966 წლის მაისის პლენუმებზე.

სოფლის მეურნეობის განვითარებას კვლავ დიდი ყურადღება დაუთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმმა, რომელმაც მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სოფლის მეურნეობის საკითხებზე XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ". ოქტომბრის პლენუმის შედეგები ღრმად და საქმიანად იქნა განხილული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე. ამ პლენუმზე ერთსულოვნად გამოთქვა აზრი, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ენერგიულად დაირაზმებიან ოქტომბრის პლენუმის გადწყვეტილებათა განსახორციელებისათვის.

სოფლის მეურნეობა ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის სახალხო მეურნეობის სპარსგმა მნიშვნელობის დარგია, რომელიც თვალსაჩინო როლს ასრულებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ პარტიამ, ასრულებს რა XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებს, განახორციელა დიდი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის: განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართოდ გაიშალა მიწების მელიორაციის სამუშაოები, სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალ პოლიტიკაზე გადასვლამ, რომელსაც საფუძვლად უდევს მტკიცე გეგმების დადგენა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნაგებგმათი მიყიდვის მატერიალური სტიმულირება. სოფლად განხორციელდა მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებანი. ყველა ამ ღონისძიებამ, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების დიდმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ, კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაობის, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თავდადებულმა შრომამ, ქალაქის მშრომელთა დახმარებამ ხელისლამი ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას, მემინდვრეობისა და მეცხოველეობის აღმავლობას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებას.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელებთან ერთად სასახელოდ შრომობენ და თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მუშაკები. უკანასკნელ წლებში საქართველო დიდი გადაჭარბებით ასრულებს ყურძნის, ხილის, ჩაის, მარცვლეულის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ძვირფასი სუბტროპიკული, ტექნიკური და სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმებს.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ერთგვარი წარმატებანი მოიპოვეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში. პირუტყვის მოვლა-შენახვის რეჟიმის და ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების გზით ამაღლდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მაგალითად, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 1964 წელთან შედარებით 1968 წელს გაიზარდა: ხორცისა — 12 პროცენტით, რძისა — 26,3 პროცენტით, კვერცხისა — 57.5 პროცენტით, მატყლისა — 10.1 პროცენტით. თითქმის ასეთივე მოცულობით გაიზარდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა.

უკანასკნელ წლებში ქალაქების თბილისისა და რუსთავის, სხვა სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების გარშემო შეიქმნა მეცხოველეობის მსხვილი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების ფართო ქსელი, რამაც ხელი შეუწყო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას, ერთგვარად გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება რძით, კვერცხით, ახალი ხორცით და სხვა პროდუქტებით.

შ. ჯანუაშვილი,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

◆

სპეციალიზებული მეფრინველეობის ფერმების შექმნით მეფრინველეობა ბამრეწველო საფუძველზე ვითარდება.

შეიქმნა მეცხვარეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები თელავისა და თიანეთის რაიონებში, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქი უურნეობები გარდაბნისა და ქარელის რაიონებში. ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად შემცირებულიყო შრომის დანახარჯები და პროდუქციის თვითღირებულება.

მაგრამ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ნაკლები ყურადღებენ გამო მეცხოველეობა კვლავ ჩამორჩება იისთ მაღალგანვითარებულ დარგებს, როგორიც არის მეშვეობა, მეფრინველეობა, ბაღეულობა, მეხილეობა, ვერ მიაყვება, მხარს ვერ უსწორებს მათ.

ეს ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმზე. ბევრი მეურნეობა წლითიწლობით ვერ ასრულებს ხორცისა და რძის წარმოების გეგმებს. მაღალია პროდუქციის თვითღირებულება; შარშან, მაგალითად, წალენჯიხის და მარნეულის რაიონებმა ვერ შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმები. მეცხოველეობა ჯერ კიდევ ბევრ მეურნეობაში არარენტაბელური დარგია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენმა კოლმეურნეობებმა 1967-1968 წლის სახელმწიფოსათვის მიყიდული ხორცის ყოველ ცენტნერზე იზარალეს 65,7 მანეთი. თვითეული კილოგრამი რძის თვითღირებულება კი თითქმის ორჯერ სჭარბობს სახელმწიფო შესყიდვის ფასს.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, რენტაბელობის დონის ამაღლების მთავარი გზაა მტკიცე საკვები ბაზა. სოფლის მეურნეობის დარგებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მარცვლეული მეურნეობის განვითარებაა. ჩვენს ამოცანას შეადგენს მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გაგაზარდოთ 20 ცენტნერამდე ნაცვლად არსებული 16 ცენტნერისა, საერთო მოსავალი კი ავიყვანოთ ერთ მილიონ ტონამდე. ეს კი მოგვცემს საშუალებას, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით გამოიყოს საფურაჟე მარაგი.

ნათესბალახიანი თესლბრუნვისა და საკვებწარმოების სისტემების გაუმართლებელმა უგულებელყოფამ, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო ათეული წლის მანძილზე, ცუდ შედეგი მოიტანა. ბალახოვანი კულტურების ფართობი ბოლო ათეული წლის მანძილზე 1,5 ჯერ შემცირებულა. ამ ბალახოვანი ფართობიდან ბევრი ადგილი ეჭირა ეროზიულ, ნაკლებ ნაყოფიერ, ფერდობებზე, ბალახოვანი ფართობიდან ბევრ ადგილზე ბალახი ადრე ამოიღეს

# საზოგადოებრივ მეცხოველეობას — მეტი ყურადღება

(დასასრული)

და ხაკ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმამდე, ისე როგორც საერთოდ, ჩვენს რესპუბლიკაშიც საგრძნობლად შემცირდა მრავალწლიანი ბალახების, საკვები ძირხვენებისა და სხვა საკვები კულტურების ნათესი ფართობი. ამის გამო წითელწყაროს, ახალქალაქის, წალკის, დმანისის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონებში მკვეთრად შემცირდა ისეთი ძვირფასი ბალახების წარმოება, როგორიც არის: სამყურა, ონარა, ეხსპარცეტი, ტიმოთელი და სხვ.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ხალხურ ყურადღება არ ექცევა ფურდოების ბოსტნებას, რომელზეც წარმატებით შეიძლება მრავალწლიანი ბალახების თესვა.

გარდა ამისა, რესპუბლიკის მეტი წილი კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საკვები კულტურებისა და ბუნებრივი სათბან-საძოვრებისათვის წლების მანძილზე ან სრულიად არ გამოიყოფენ მინერალურ სასუქებს, ან ფამოყოფილ სასუქებს სხვა კულტურებისათვის იყენებენ. ამ მიზნებისათვის თითქმის არ იყენებენ ადგილობრივ ორგანულ სასუქებსაც. ეს კი იწვევს საკვები კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად შემცირებას. ბოლო 4 წელიწადში საკვები ძირხვენების (შაქრის ჭარხლის ჩათვლით) მოსავლიანობა 40-60 ცენტნერს არ აღემატება ჰექტარზე, მაშინ როცა საჭირნო მიზნებისათვის დათესილი შაქრის ჭარხლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე არასოდეს არ ყოფილა 250 ცენტნერზე ნაკლები, ხოლო შაქრის ჭარხლის მწარმოებელი ძირითადი რაიონები კი საშუალოდ 500 ცენტნერზე მეტსაც კი იღებენ.

ძალიან დაბალია ერთწლიანი ბალახების თივის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე, იგი 15-20 ცენტნერს არ აღემატება. მოწინავე მეურნეობებში კი ჰექტარზე 40-45 ცენტნერ მაღალხარისხოვან თივას იღებენ. ჰექტარზე საშუალოდ 15-20 ცენტნერს არ აღემატება მრავალწლიანი ბალახების თივის მოსავალიც. ზოგიერთ რაიონში სიმინდის ნათესს სასილოსედ მხოლოდ მას შემდეგ გამოყოფენ, როცა ეს ფართობები სეტყვით, გვალვით ან სხვა სტიქიური მოვლენებით დაზიანდება. ამრიგად, გასაკვირველი რიდია, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობა ვერ ასრულებს ხაკვების დამზადების გეგმებს.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ტემპებს მნიშვნელოვნად აფერხებს **პირუტყვის დაბალი ჯიშობრივი შემადგენლობა.** ამ მხრივ უკანასკნელ წლებში ერთგვარი მუშაობა იქნა გაწეული, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჯოგის დაახლოებით მხოლოდ 42-44 პროცენტია ჯიშიანი, დანარჩენი კი დაბალპროდუქტიული პირუტყვია. პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და მიზანსწრაფული სანაშენო მუშაობისათვის შექმნილია 26 სახელმწიფო და 2 საკოლმეურნეობათაშორისო სანაშენო და ხელოვნური დათესვის სადგური, ადგილებზე მოწყობილია 900-ზე მეტი მუდმივმოქმედი და 200 სეზონური პუნქტი, 8 სახელმწიფო სანაშენო მეურნეობა, 58 საკოლმეურნეო სანაშენო ფერმა, 4 სახელმწიფო ჯიშსაშენი, რომლებიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, აღჭურვილია სათანადო ტექნიკით. მაგრამ ეს სადგურები და პუნქტები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ყველა სახოფლო-სამეურნეო ორგანო მოვალეა არაა5 ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი სანაშენო საქმის უკეთ მოწყობას. ამას მოითხოვს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების ინტერესები.

მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს **შრომატევადი პროცესების მექანიზაციას.** ამ მხრივ საქართველოში არ არის პირუტყვის ისეთი სადგომი, სადაც ნაწილობრივ მაინც არ შეიძლებოდეს შრომატევადი პროცესების მექანიზაცია. სინამდვილეში, ამ მხრივ რესპუბლიკაში მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. 1969 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმებში მექანიზებული იყო: წყალმომარაგება და დარწყულება — 22 პროცენტით, ნაკელის გამოტანა ბოსლიდან — 16,8 პროცენტით, საკვების მიწოდება — 8 პროცენტით. ელექტროწველა — 5,8 პროცენტით და ა. შ. მექანიზაციის ეს მეტად დაბალი დონე მეტწილად იმითაც არის გამოწვეული, რომ ბევრ ფერმაში რაციონალურად ვერ ახერხებენ დადგმულ აგრეგატებს. მარნეულის რაიონის ყარაღანის და არაფლოს საბჭოთა მეურნეობებში 1966 წლიდან არ იყენებენ დამონტაჟებულ საწველ აგრეგატებს, რომელთა საერთო საბალანსო ღირებულება 8 ათას მანეთს აღემატება. წალკის რაიონის ავრალოს და ბეშთაშენის საბჭოთა მეურნეობებში დამონტაჟებული მეცხოველეობის მანქანადანადგარების ამოქმედებამდე უკვე მესამე წელია არ მუშაობს არც ერთი, ხოლო მანქანების ნაწილი ფარდულებში ეფარებულია 8.000 მანეთის ღირებულებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ", კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, პირველ რიგში იმ ფერმებში, რომლებიც განლაგებული არიან ტიპურ შენობებში, ხოლო იქ, სადაც შენობები ამის საშუალებას არ იძლევა, აუცილებელია მოამზადონ ცალკეული საშუშაოთა მაქსიმალური მექანიზაცია.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ რეზერვს წარმოადგენს აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების **ხაკვების ბაზა.** ამ მხრივ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. შეიქმნა მსხვილი ხაკვიანლიბეული საბჭოთა მეურნეობები, ფაბრიკები, ხაინკუბატორო სადგურები...

შემდგომ უნდა შეიქმნათ მეფერმეურეობის ხაკოლმეურნეობათაშორისო ფერმები. ამ მხრივ მიზანშეწონილია ინიციატივა ბორის, თელავის, ოთიანეთის, ცხაკაიას, მახარაძის, ზუგდიდის და სხვა რაიონებისა, სადაც რამდენიმე კოლმეურნეობის წარმოება, წამგებიანი ფერმების ბაზაზე შეიქმნა მეძროხეობის, მეცხვარეობისა და მეფრინველეობის მსხვილი გაერთიანებანი. ახლახან ორმოცი-ოიძისა და ვანის რაიონებში შეიქმნა მეღორეობის მსხვილი ხაკოლმეურნეობათაშორისო ფერმები. ბორის რაიონის მეფრინველეობისა და მეღორეობის ხაკოლმეურნეობათაშორისო ფერმები ორსაბჭოთა ერთობის პირველ წელსვე გადაიკვლევენ, ღორიხა და ფრინველის ხორცის, კვერცხის წარმოების მსხვილ მომგებიან ფაბრიკებად. ახლა მთავარია გავამსხვილოთ მეცხოველეობის ჩვრილი ფერმები სპეციალიზაციის გზით.

ხორცის წარმოების გადიდების ხაქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება **პირუტყვის ხუმბის ხწორ ორგანიზაციას.** მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ ზოგი რამ გაკეთდა და კონდიციური ხორცის წარმოება ერთგვარად გაიზარდა, ზოგიერთი მეურნეობანი მაინც დიდი რაოდენობით აბარებენ ჯანდაგ, დაბალი ნაკვებობის პირუტყვს, რაც საგრძნობლად ამცირებს ხორცის საერთო გამოსავალს და ზრდის წარმოებული ხორცის თვითღირებულებას.

საჭიროა მკვეთრად გავაუმჯობესოთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხუმბის საქმე. მიზანშეწონილი იქნება, თუ ყველა რაიონში მოეწყობა ხასუქი პუნქტები, სადაც თავს მოიყრის კოლმეურნეობების ხახორციელ განკუთვნილი პირუტყვი და მოეწყობა მისი ხუმბება.

ხორცის წარმოების გადიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია **მეღორეობა.** მეღორეობა, როგორც მეცხოველეობის ერთ-ერთ ფილიალი, ერთ-ერთ ადგილზე ერთ-ორ ფერმაში ორ-სამ ათასამდე ღორის ბინადრობა, ეფექტურ ეკონომიკურ ეფექტს ვერ იძლევა. ამ მხრივ ბევრ ადგილზე ეს ფერმები ზედმეტ ტვირთად ექცევა ადგილობრივ ორგანოებს. ეს ფერმები ეკონომიკურ ეფექტს ვერ იძლევა,



# ხოვალდი მიფრინავს... დედამიწაზე

**საკავშირო მოდის მკითხველთა ერთილები, რომელებსაც აინტერესებთ კოსმოსური ხომალდების გასაფრენად მოამზადების დაწვრილებითი ამბები. ამ თემინის კასუხად ჩვენ გაგვეგებთ ინჟინრების ა. მიხაილოვისა და ე. ივანოვის სტატიას.**

**თანამედროვე** პილოტირებული კოსმოსური ხომალდი ერთიანი პარმონიული კომპლექსია, სადაც ტექნიკის შესანიშნავი მიღწევები, მრავალგვარი აპარატურის ეფექტური ერთეულია კომპლექსი ყველაზე რაციონალურად შემუშავებულია ინერგულად მომზადებული და გაწვრთნილი კოსმონავტების შესაძლებლობებთან და ოსტატობასთან.

ხომალდის მომზადება იწყება გაფრენამდე დიდი ხნით ადრე. თავდაპირველად ავტონომიური შემოწმების ხანგრძლივ კომპლექსს გადიან ხომალდის მრავალი ხელსაწყო და ცალკეული სისტემები. წარმოებს თვით ხომალდის წინასწარი დინამიკური, ენერგოვაკუუმური და მექანიკური გამოცდა, შემდეგ კი იწყება ხომალდის ელექტროშემოწმებანი. ცენტრალური ადგილი უკავია ერთეულ წოდებულ კომპლექსურ ელექტროგამოცდას.

სპეციალურად მოწყობილ გამოსაცდელ კომპლექსებზე გაფრენამდე დიდი ხნით ადრე ხომალდი ბევრჯერ თითქოს იმეორებს თავის კოსმოსურ გზას დედამიწაზე. იგი „გაგზავნეს“ ორბიტაზე, „მანეერობს“, „ორიენტაციას ეძებს“, „ჯდება“. ერთი სიტყვით, დედამიწაზე „თამაშდება“ მთელი ფრენა. მაგრამ, გარდა ფრენის ეგრეთ წოდებული ნორმალური რეჟიმებისა, გამოცდის დროს ხომალდს ხელოვნურად ეექმნით ისეთ პირობებს, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა, პროგრამით გაუთვალისწინებელ სიტუაციას, ცალკეულ უწესივრობათა წარმოშობას სისტემაში. ამით ეამოწმებთ ხომალდის „სიცოცხლისუნარიანობას“, მის უნარს მოულოდნელ - გართულებათა დროსაც კი წარმატებით დაამთავროს ფრენა.

კოსმოსური ფრენისათვის ხომალდს გამომცდელები ამზადებენ. ისინი საგულდაგულოდ ანალიზებენ ფრენის პროგრამას, ხომალდის ყველა ავრეგატის, სისტემისა და ხელსაწყოს მუშაობას. თავლს ადევნებენ აპარატურის რთულ საქმეებსა და ეარჩევენ ყოველნაირ, თითქოს და წარმოუდგენელ კარიანტებსა და მოულოდნელ შემთხვევებს, ამუშავებენ ხომალდის დახვეწისა და გამოცდის პროგრამას. გამომცდელები ქმნიან და ამზადებენ აპარატურას და ამოწმებენ ხომალდს მისი მომზადების ყველა ეტაპზე დამამზადებელი ქარხნიდან დაწყებული კოსმოდრომის სასტარტო მოედნამდე. გამომცდელები ანალიზებენ ხომალდს ყველაფერს საგულეს. სწორედ ამ მიზეზით ამ ადამიანებს ირჩევენ საუკეთესო ინ ყველაზე კვალიფიციური, გამოცდილი სპეციალისტების რიცხვიდან.

მაგრამ რაც უნდა კარგად იყოს მომზადებული თავისი საპატიო და პასუხსაგები მუშაობისათვის გამომცდელი, მას აუცილებლად სჭირდება თანამედროვე ტექნიკური საშუალებანი. ამიტომ გამოსაცდელი აპარატურის შექმნის დროს დიდი ყურადღება ეთმობა იმას, რომ შეიქმნას მუშაობის მაქსიმალურად კარგი პირობები, უზრუნველყოფილი იყოს გამოცდების შედეგების კონტროლისა და რეგისტრაციის ავტომატიზაცია. ყველა ლონისძიება, რომელებიც ხორციელდება გამოსაცდელი აპარატურის შექმნისას, ეწინარეს ყოველისა, მიზნად ისახავს ხომალდის „შრომისუნარიანობის“ ყოველისმომცველი და სანდო კონტროლის უზრუნველყოფას.

გამოსაცდელი მოწყობილობა, რომელსაც იყენებენ თანამედროვე კოსმოსური ხომალდების მომზადების დროს, წარმოადგენს აპარატურის ერთიან კომპლექსს, რომელსაც საუფლად უდგეს გამოსათვალი ტექნიკისა და საინფორმაციო-ლოგიკური სისტემების პრინციპები.

...ოპერატორის პულტი აქედან არის, რომ გამოცდების დროს ხომალდს აძლევენ საჭირო ბრძანებებს. პულტის დაფაზე თავს იყრის ინფორმაცია ხომალდის სისტემების მდგომარეობისა და მიკიმეტ ბრძანებებზე მათი რეალიზების შესახებ. სპეციალური საკონტროლო ინდიკატორი აღნიშნავს და იხსომებს ხომალდს ყოველი საკონტროლო პარამეტრის ყოველგვარ, სულ ხანმოკლე ცვლილებასაც კი.

ინფორმაციას, რომელსაც ცენტრალური პულტი იღებს, წინასწარ ამუშავებენ მთელი რიგი ლოგიკური და საზომი მოწყობილობანი. ზუზუსტი გარდამქმნელები ელექტროსიგნალებს გარდაქმნიან რიცხვითი ტაბლოების მაჩვენებლებად.

გამოცდის პროცესში შესასრულებელ ყველა ოპერაციას, მთელ შესამოწმებელ ბრძანებებს, ხომალდის მდგომარეობის ყველა ცვლილებას განუწყვეტლივ აღნიშნავს სპეციალური ავტომატური რეგისტრატორი. პერიოდულად ეს რეგისტრატორი იღებს ყველა საკონტროლო პარამეტრის მდგომარეობის სრულ სურათს დროის აღნიშვნით. ამ წესით ქმნება გამოცდის დაწვრილებითი ოქმი, რომელიც ობიექტურად ასახავს გაფრენისათვის ხომალდის მზადყოფნას.

შემდეგ ამ ოქმს პოლადასმით წაიკითხავენ, არც ერთ უმნიშვნელო შენიშვნასაც კი უყურადღებოდ არ ტოვებენ.

...გამოცდა დამთავრდა. გულდასმით გაანალიზებულია ოქმები. ხომალდი მზად არის საბოლოო ოპერაციებისათვის. მაგრამ საგამოცდო კომპლექსის ფუნქციები ამით როდი ამოიწურება. თვით უკანასკნელ მომენტამდეც კი, როცა რაკეტა ხომალდთურთ უკვე სასტარტო მოწყობილობაზეა და მზად არის გასაფრენად, საგამოცდო კომპლექსი ამოწმებს ხომალდის მდგომარეობას, თვალს ადევნებს კოსმონავტის მოქმედებას.

...გაშვებამდე წუთები რჩება. კოსმონავტი მოახსენებს გაფრენისათვის მზადყოფნას. საგამოცდო კომპლექსის ოპერატორი ხომალდს აძლევს უკანასკნელ ბრძანებებს. მის პულტზე ინთება და ქრება ტრანსპარანტები. საგამოცდო კომპლექსი აფასებს ხომალდის საწყის მდგომარეობას, ადარებს მას ჩათვალისწინებულ პროგრამას, ამოწმებს ძირითად პარამეტრებს. ყველაფერი რიგზეა. ეინთო ტრანსპარანტი „სასტარტო მზადყოფნა“. ოპერატორი მოახსენებს საკომანდო პუნქტს: „ხომალდი მზად არის სტარტისათვის“.

ახლა, მხოლოდ ამ მოხსენების შემდეგ, დაჭერენ თითს ღილაკს „გაშვება“ — და მძლავრი რაკეტა ხომალდსა და კოსმონავტებს წაიყვანს უკიდეგანო სამყაროში.

...ხომალდი გაფრინდა. საცდელ კომპლექსში ჩაირთვება ახალი კოსმოსური ხომალდი, და გამომცდელები იწყებენ ხომალდის, კოსმოსში საბჭოთა ადამიანის მორიგი „წარმომადგენლის“, გულდასმით შემოწმებას.

ინჟინერი **ა. მიხაილოვი,**
ინჟინერი **ე. ივანოვი.**

# ა. ა. გაბუნია

**საქართველოს** რეკონსტრუქციის საზოგადოებრივობამ დიდი დანაკლისი განიცადა.

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერების დიდი სპეციალისტი, რესპუბლიკის ფიზიკოსი ინჟინერი, სსრკ წევრი 1939 წლიდან **ანდრია ალექსის-ძე გაბუნია.**

ა. ა. გაბუნია დაიბადა 1907 წ. 5 იანვარს ქ. ფოთში მუშის ოჯახში. მისი ცხოვრების მთელი გზა ხალხისადმი უანგარო სამსახურისა და კომუნისტური პარტიის საქმისადმი ერთგულების ნიმუშია.

1926 წელს ფოთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ა. ა. გაბუნიამ მოუბოლა დაიწყო ფოთის პორტში მუშად, მყვინთავის მატროს-მექანიკანლად. 1928 წელს შეიყვანა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დამთავრა 1932 წელს და გაიგზავნა ახლადდაარსებულ ელექტროდის დაბლობის დაშრობის სამმართველოში „ელექტრომშენში“, სადაც დაიწყო მუშობა რიგით ინჟინრად, რომდენიმე ხნის შემდეგ კი უკვე ეკავა სიეფსაგადამცემი სადგურის მთავარი ინჟინერის თანამდებობა. 1938 წლიდან 1940 წლამდე ა. გაბუნია მუშობდა ჯერ აჭარისწყლის ჰიდროსადგურის მშენებლობაზე, შემდეგ კი ჰიდროენერგოპროექტის თბილისის განყოფილებაში, საიდანაც ხელახლა გადაყვანილ იქნა „ელექტრომშენში“ ხელმძღვანელად სამუშაოზე.

1940 წელს ა. გაბუნია გადმოყვანილ იქნა თბილისში საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მთავარ ინჟინრად. 1941 წელს კი დაინიშნა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ. ამ პოსტზე იმუშავა 1943 წლის ბოლომდე, ამასთან ხელმძღვანელობდა საქართველოში ცალკეულ თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობას.

1943 წ. დეკემბერში ა. გაბუნია არჩეულ იქნა ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზეც იმუშავა 1945 წლამდე. შემდეგი კი, ომმის გამო შეჩერებულ სამუშაოთა აღდგენასთან დაკავშირებით, გადაყვანილ იქნა „ელექტროშენის“ უფროსად.

1949 წელს ა. გაბუნია დაინიშნა უდიდესი წყალსამეურნეო ობიექტის — სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის უფროსის თანამდებობაზე. აქ იმუშავა 1956 წლამდე, რის შემდეგ გადაყვანილ იქნა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილედ. რესპუბლიკის მტეკნეულობის ბორბგანიზაციასთან დაკავშირებით 1956 წელს ა. გაბუნია იგზავნება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, 1960 წლიდან კი ხელახლა გადაკავეთ წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილედ და ამ პოსტზე მუშობდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ა. გაბუნიამ მოახმარა ქართველი ხალხის საუკეთესოდ ოცნების ასრულებას — კოლხიდის ჯაობების დაშრობას და სამგორის ველის ნაყოფიერი, ბაგრამ უწყალო მიწების მორწყვას.

ა. გაბუნიამ მრავალი შემოქმედებითი ჩანაფიქრი ჩაუსოვა რესპუბლიკის მსხვილი წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობის საპროექტო გადაწყვეტილებებში.

ყველგან, სადაც კი ა. გაბუნია მუშობდა, ის მთელი თავისი ენერგიით ემსახურებოდა დაკალებულ საქმეს, ამოკავებდა დიდ ცოდნას, იყო პრინციპული, ბეჯნსმიერი და თავმდაბალი ამხანაგი, სარგებლობდა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით.

სამსახურებრივ საქმიანობას ა. გაბუნია წარმატებით უთავსებდა სახოგადოებრივ მუშაობას: ის რამდენიმეჯერ იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კპ გარეუბნის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრად.

პარტიამ და ხელისუფლებამ დიდად დააფასეს ა. ა. გაბუნიას დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ბრწყინვალე ადამიანის ა. ა. გაბუნიას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

**საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის საბჭოთაშორისო კომიტეტი.**

## ა. ა. გაბუნიას დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

**სამოძალაკო** ტანაშეიდი გამართება 2, 3 თებერვალს, სამამის 7 საათზე განსვენებულის ბინაში — ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.

ა. ა. გაბუნიას ცხედარს 4 თებერვალს დაასვენებენ საქართველოს მელიორაციისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შენობაში — ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 60.

განსვენებულთან გამოთხოვიდა დაიწყება დღის 2 საათიდან, გამოსვენება 4 საათზე, დაკრძალვა — საბჭოთა ლენინის სასაფლაოზე.

# ᲙᲐᲠᲒᲘ ᲗᲐᲛᲘᲡᲜᲝᲒᲐ

# შევქმნათ საწარმოთა ისტორია

**დიდმა** პროლეტარულმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ საშვილიშვილო საქმეს მისცა დასაბამი. 1931 წლის 7 სექტემბერს გაზეთებმა „პრავდამ“ და „იზვესტიამ“ დაბეჭდეს მ. გორკის წერილი „შევქმნათ შაბრიკა-ქარხნების ისტორია“, ეს კეთილშობილური თაოსნობა მოიწონა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და იმავე წლის 10 ოქტომბერს მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ამ შესანიშნავ, პატრიოტულ წამოწყებას იმანაც ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა და მუშობლიურ საწარმოთა ისტორიის შექმნისათვის დიდი რამ გაკეთდა. ეს არის მშრომელთა პატრიოტული აღზრდის საუცხოო საშუალება.

ქართული მარგანეცის ქალაქი ჭიათურა ემზადება აღნიშნოს მარგანეცის საბადოს დამუშავების 90 წლისთავი. ჭიათურელებმა ამასთან დაკავშირებით კვლავ გაიხსენეს მ. გორკის ანდერძი — შეუდგნენ საწარმოთა ისტორიის შექმნას. ეს საშვილიშვილო და კარგი საქმე წამოიწყეს ლენინის ორდენოსანი მარგანეცის ტრესტის ორკონიკიძის სახელობის მაღაროს და უსინათლოთა საზოგადოების ჭიათურის სახელოვნო-საწარმოო კომბინატის კოლექტივებმა. მათ უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები საკუთარ საწარმოთა ისტორიის შექმნისათვის.

ამ საწარმოთა ინიციატივა მოიწონა საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიურომ და მიიღო დადგენილება მისი მხარდაჭერისათვის.

მაღაროების, ფაბრიკების, მშენებლობათა, სკოლებისა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა მესვეურებმა მხარი დაუჭირეს კეთილშობილურ თაოსნობას. ისინი ამ საქმეში იხილავენ ფართო სახოგადოებრივობას.

ეს კარგი წამოწყება ყოველდღიურ, თანმიმდევრულ ზრუნვას მოითხოვს.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

## ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲗ, ᲒᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲠᲢᲤᲝᲚᲘᲝ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

**შეკითხვა:** ჩემი მეობლები მუშობდნენ ცხინვალის რაიონის სოფელ აჩაბეთის კოლმეურნეობაში. მათი გარდაცვალების შემდეგ კომლის ქონებას მთლიანად დაეპატრონა ჩემი ძმა. მე ვცხოვრობ და ვმუშაობ თბილისში. მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო წილი მშობლების სამკვიდრო ქონებიდან?

**ბ. ბაბუციძე,**
ქ. თბილისი.

**პასუხი:** თუ თქვენი მშობლების გარდაცვალების შემდეგ მათ კომლში დარჩნენ კომლის სხვა წევრები (თქვენი ძმა ან სხვა პირი), იმ შემთხვევაში კომლის ქონებაში სამკვიდრო განსაზღვრა არ ითვალისწინებს და ამიტომ კომლის ქონებიდან თქვენ წილს ვერ მიიღებთ. ხოლო თუ კომლში სხვა წევრი არ დარჩენილა, თქვენ თანმიმდევრულად გაქვთ მოითხოვოთ წილი სამკვიდროო ქონებიდან საერთო საფუძველზე.

**შეკითხვა:** რამდენ ხანს ინარჩუნებს ძალას დისციპლინარული სასჯელი, რომელიც ადმინისტრაციის მიერ დაედო მუშას ან მოხამსახურეს შრომის დისციპლინის დარღვევისათვის?

**თ. ბელაშვილი,**
სოფლადი რაიონი.

**პასუხი:** თუ დისციპლინარული სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშას ან მოხამსახურეს არ დასდებია სხვა დისციპლინარული სასჯელი, იგი დისციპლინარული წესით დასჯილად არ ჩაითვლება.

**შეკითხვა:** ექიმმა შეცდომით განსაზღვრა მშობიარობის მოსალოდნელი დღე და შრომისუუნარობის ფურცელი გამოსწერა 24 დღით ადრე. ამის გამო მშობიარობამდე ვისარგებლე მხოლოდ 28 დღის შვებულებით. ამინაზღაურდება თუ არა დახმარება გაცდენილი 24 დღისათვის?

**ბ. ბაბაბაძე,**
ქ. ახალციხე.

**პასუხი:** ორსულობისა და მშობიარობის გამო ქალებს ეძლევათ შვებულება შრომისუუნარობის ფურცლების მიხედვით 56 დღით მშობიარობამდე და 56 დღით მშობიარობის შემდეგ.

ზოგჯერ მშობიარობის დღის არასწორი გამოანგარიშების შედეგად შრომისუუნარობის ფურცლის გაცემა ხდება მშობიარობამდე არა 56 დღის წინ, არამედ უფრო ადრე ან გვიან. ასეთ შემთხვევაში დახმარება გაიცემა მშობიარობამდე შვებულებაში თანრიცხულ დროისათვის


**ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ**
№2-ᲨᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ. ᲤᲘᲠᲐ,
2 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1969 Წ.


(56 დღეზე მეტი ან ნაკლები). თუ მშობიარობამდე შვებულება ნაკლებად 56 დღისა ფაქტიურად გაგრძელდა 24 დღით ნაკლებ ხანს, ე. ი. 32 დღეს, დახმარება გაიცემა მხოლოდ 32 დღისათვის.

**შეკითხვა:** ვარ შრომის II ჯგუფის ინვალიდი. ჩემი მეულლეც II ჯგუფის ინვალიდია. ოჯახში შრომისუნარიანი არავინ გვყავს. გვეკუთვნის თუ არა შეღავათი სასოფლო-სამეურნეო გადასახადში?

**ი. ნადარაია,**
გეგეჭკორის რაიონი.

**პასუხი:** სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, მეურნეობებისათვის, რომელთა შემადგენლობაში შედიან ომისა და შრომის ინვალიდები, გადასახადის თანხა მცირდება სანახევროდ, ხოლო თუ მათ შემადგენლობაში შრომისუნარიანები არ არიან — ეს მეურნეობანი სრულიად თავისუფლდებიან გადასახადისაგან.

**შეკითხვა:** ვმუშაობდი სკოლაში მასწავლებლად. პარტიულმა ორგანოს დადგენილებით გადავედი სამუშაოდ რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილედ. ჩამოთვლება თუ არა რედაქციაში მუშაობის დრო პედაგოგიური მუშაობის სტაჟში?

**ბ. კორძაძე,**
ბანი რაიონი.

**პასუხი:** გაზეთის რედაქციაში მუშაობის დრო პედაგოგიურ მუშაობის სტაჟში არ ჩაითვლება.

**შეკითხვა:** ვარ დაუსწრებელი ინსტიტუტის სტუდენტი. შემიძლია თუ არა ვიმყოფებოდეო ყოველდღიურად სამუშაოდან ადრე წასვლის უფლებით?

**ნ. ბერუაშვილი,**
თბილისი.

**პასუხი:** საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებთა სტუდენტებისათვის დაწესებულია სხვადასხვა შეღავათები. ყოველდღიურად სამუშაოდან ადრე წასვლის უფლებას კი კანონი არ ითვალისწინებს.

**შეკითხვა:** ვმუშაობ სკოლაში ეარაულად. გასული წლის შვებულებით არ მისარგებლია. მაქვს თუ არა ნინა წლის გამოუყენებელი შვებულების მოთხოვნის უფლება.

**დ. ხურცილავა,**
ბეზმეკორის რაიონი.

**პასუხი:** თუ მოცემულ წელს მორიგი შვებულება მუშაც არ გამოუყენებია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით და არც შესაბამისი კომპენსაცია აქვს მიღებული, შემდგომ წელში შვებულება გაგრძელებულ უნდა ანიან ამ ჯადით, რომელითაც მას წარსულ წელს არ უსარგებლია. აკრძალულია მორიგი შვებულების ზედიზედ მიღება — მლობა ორი წლის განმავლობაში.

# ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

**ᲙᲘᲜᲝᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ** და ფოტომოყვარულთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ახლახან აჭარის ტექნიკის საოლქო სახლში შეიქმნა ფოტო და კინომოყვარულთა კლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობს აჭარის ასსრ კინომოყვარულთა სახოგადოების წევრი, ტექნიკის საოლქო სახლის დირექტორი ი. ახობაძე.

ფოტომოყვარულთა კლუბში ყველაფერია, რომ ფოტოსა და კინოს ენთუზიასტებმა შეისწავლონ ეს საქმე. აქ სისტემატურად გაიმართება სემინარები. ლექციებ-მოხსენებებს წაიკითხავენ ფოტოსა და კინოს სპეციალისტები. ფოტომოყვარულები გაეცნობიან სურათის გადაღებისა და ბეჭდვის ტექნიკას. მოეწყობა ფოტო და კინომოყვარულთა ნამუშევრების ეგამოფენა-კონკურსები და სხვა ღონისძიებები.

**გ. ჩხაიძე.**

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜ** ტუნერაში გაიმართა ლონის რაიონული გაზეთის „განთიადის“ მკითხველთა კონფერენცია. გაზეთის მიერ გაწეული მუშაობისა და პრესის მუშაკთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა „განთიადის“ რედაქტორის მოადგილემ ვ. მაგრაქელიძემ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ტუნერის საშუალო სკოლის დირექტორმა ა. ჩუმაშვილმა, მასწავლებლებმა ვ. მეტრეველმა და ე. მეტრეველმა, სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ გ. კერესელიძემ, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ მ. მეტრეველმა, სოფლის კოოპერატივის რევიზორ-ბუხგალტერმა ი. მეტრეველმა და სხვებმა.

**ვ. ციხკარიძე.**

**ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ** მუშაობას ეწევა გეგეჭკორის სარაიონო სახავშვო ბიბლიოთეკა. აქ სწორი მიმართულება ეძლევა ბავშვების კლასგარეშე კითხვას. შარშან ბიბლიოთეკა მოგვმსახურა 1.550 მკითხველს და მათზე გაიცა 41.450 წიგნი და ბროშურა.

ბიბლიოთეკაში ეწყობა ხმამაღლა კითხვა, სახავშვო ფილმები, მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები.

**ბ. ᲒᲣᲚᲘᲐ.**

40 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ ტომია გურჯაანის მ. გორკის სახელობის რაიონული ბიბლიოთეკის წიგნის ფონდში. 4.300 მუდმივი მკითხველის განკარგულებაშია სხვადასხვაგვარი პერიოდული გამოცემები, მეთოდიკური ლიტერატურა.

რაიონული ბიბლიოთეკა უკვე 88 წელია არსებობს. დაარსების პირველი დღიდან ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობს გ. ჯორჯაძე — საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი.

გურჯაანის ბიბლიოთეკას რესპუბლიკის საუკეთესო ბიბლიოთეკის დიპლომი მიეკუთვნა.

სურათზე: გურჯაანის მ. გორკის სახელობის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. წინა პლანზე (მარჯვნივ) ბიბლიოთეკის გამგე გ. ჯორჯაძე.

ფოტო რ. ᲙᲐᲪᲐᲠᲐᲕᲐᲡᲘᲡ (საქრონიკო ფოტოქრონიკა).

# ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲔᲛᲐ

**31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ** მოსკოვში მუშაობა დაამთავრა რეპორტიორთა პირველმა სრულიად საკავშირო სემინარმა. მისი მონაწილენი — ცენტრალური, რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული გაზეთების, საკავშირო და ახალი ამბების სააგენტოს წარმომადგენლები ოთხი დღის განმავლობაში განიხილავდნენ ინფორმაციის თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. მათ მოისმინეს მოხსენებები — ლენინური თემა ინფორმაციაში, რეპორტიორთა მომზადება, მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებანი და სხვ. შემოქმედებითს დისკუსიაში რამდენიმე ათეული კაცი მონაწილეობდა.

რეპორტიორთა სრულიად საკავშირო სექციის თავმჯდომარემ ე. ი. რიაბჩიკოვმა განაცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება ცალკე კრებულად გამოსცენ სემინარის მასალები. ამიერიდან, თქვა მან, რეპორტიორთა სრულიად საკავშირო შეხვედრები კარგ ტრადიციად გადაიქცევა. უახლოეს ორ თვეში დასახულია მოეწყოს ყურნალისტთა ზონალური შემოქმედებითი სემინარები ლენინგრადსა და კრასნოიარსკში. სემინარები მიეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

დასასრულ სემინარზე გამოვიდნენ სექციის ყურნალისტთა კავშირის კომკავშირის ეროვნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი მ. ვ. ხიმიანინი და საკადესის გენერალური დირექტორი ს. გ. ლაპინი.

სემინარის მონაწილენი იყვნენ „პრავდის“, „იზვესტიის“ და „ვეჩერნაია მოსკვის“ რედაქციებში, საკადესი და ახალი ამბების სააგენტოში. (საკადესის კორ.).

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

# ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲘ — ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ

**ᲙᲔᲗᲘᲚᲘ** საქმენი ადამიანთა გულში ცოცხლობენ და თაობიდან თაობას გადაეცემიან.

ეგალი ყველა ცნობილ და უცნობ გმირს როდი აქვს დადგმული. არიან გმირები, რომელთა ხსოვნა ისევე დიდხანს ცოცხლობს, როგორც სურათებსა და ქანდაკებებში გამოსახულებული.

ბულგარეთში სათუთად და სიყვარულით ინახავენ ერთი შესანიშნავი ადამიანის ხსოვნას. მან ბულგარეთის საზოგადოებაში დატოვა ხსოვნა, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ბულგარელი ხალხის ლიტერატურის დიად მოღვაწეთა უკანასკნელ ისტორიულ წლებთან და სამოდამოდ დარჩება მის მატიანეში. ეს არის ალექსი ნიკოლოზის-ძე ცარევალევის (წარეთლის) სახელი, რომელიც, როგორც იმ დროის ერთი მოღვაწე ამბობდა მის შესახებ, ერთ-ერთი პირველი სახელი იქნება, რომელსაც ჩვენი შთამომავლობა ქებით მოიხსენიებს.

ბულგარელები მას მაშინ ეძახდნენ „ჩვენს ძვირფას კეთილმეოფელს“, „მეგობარს“, უბადო დამცველსა და ქომაგს, რომელიც „სულით და ხორცით“ შეეწია ბულგარელთა განთავისუფლებისა და მაშინდელი ბულგარეთის ინტერესთა დაცვის საქმეს.

ალექსი წარეთელი, მის ბულგარელ თანამედროვეთა სიტყვით: „ინტელიგენტი, თავაზიანი, ბრძენი, მეცნიერებული და გონებამახვილი“ ადამიანი იყო, და ამან შეუწყო ხელი მის სწრაფ და წარმატებითს დიპლომატიურ კარიერას.

ა. წარეთელი ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა — სულ 35 წლისა. მაგრამ რამდენი საქმის გაკეთება მოასწრო ამ მოკლე ხანში! რუსულ პრესაშიც მას „ჩვენი დროის შესანიშნავ მოღვაწეს“ უწოდებდნენ.

იგი დაიბადა პენხის გუბერნიაში, პირველდაწყებითი განათლება მიიღო შეეიცარიაში (ლოზანაში), ხოლო 1865 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

მან დიდი ინტერესი გამოიჩინა სლავთა საქმისადმი (მაშინ რუსეთის საზოგადოება დიდი ინტერესით ეკიდებოდა სლავთა საკითხებს. იზრდებოდა რუსი ხალხის სიმპათიები ბალკანეთის ნახევარკუნძულისა მოსახლეობისადმი), შეისწავლა სლავური ენები და იმოგზაურა თურქეთსა და სერბიაში. შემდეგ იგი შეეიდა საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტში და მალე დანიშნა ბულგარიაში ეგენერალური საკონსულოს მდივნად. ხოლო 1873 წელს — კონსტანტინოპოლში რუსეთის საელჩოს მეორე მდივნად.

1876 წელს ბულგარეთში მოხდა ცნობილი აპრილის აჯანყება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მოვლენაა ბულგარეთის ისტორიაში. იგი უმაღლესი წერტილია თურქეთის ფეოდალური ეროლის დამხობისა და ხალხის განთავისუფლებისათვის ბულგარელი ხალხის ბრძოლაში. თუმცა აჯანყება თურქებმა სასტიკად ჩაახშეს, მაგრამ მან მაინც საფუძველი შეუყარა თურქთა ფეოდალურ ბატონობას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ბულგარეთში საშინელი მხეცობა დაიწყო. ამ დროს ა. წარეთელი ადრიანოპოლსა და ფილიპოპოლში (ახლა ქალაქი პლოვდივი) მიავლინეს ამ ქალაქების საკონსულოების მართვისათვის.

ბულგარელთა ხოცვა-ჟლეტის დროს ა. წარეთელი ფილიპოპოლში რჩებოდა და მას, კონსტანტინოპოლში ამერიკის გენერალურ კონსულ სკაილერთან ერთად, დაეცალა მოეხდინა თურქების მხეცობის საქმეთა გაძიება. მან პირადად შემოიარა ბულგარელთა აკლებული სოფლები, რომ ადგილზე გამოეძია საქმე. ერთხელ ადგილობრივმა ფაშამაც კი ურჩია, ახლა ამ სოფლებს ნუ ინახულებ, თორემ შეიძლება მოგკლონო. რაზეც ა. წარეთელმა უპასუხა:

„მე არც ცოლი მყავს, არც შვილი, და კიდევაც რომ მომკლან, ჩემზე არავინ იტირებს“.

თავისი დაწერილებითი და სწორი გამოძიებითა და დაკითხვებით, საფუძვლიანი და მჭეტრეტიკული პატაკებით და ამ გამოძიების ოქმებით ა. წარეთელმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმას, რომ ბოლ ევროპაში სიმპათიებითა და ყურადღებით მოჰკიდებოდნენ ქრისტიანთა მძიმე მდგომარეობას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. კონსტანტინოპოლის კონფერენცია ჩაგრულთადმი ინტერესის აღძვრის პიროდაპირი შედეგი იყო.

როცა ომი გარდუვალი გახდა, წარეთელი ნებითგანწესებულად შევიდა მოქმედ არმიაში. ომის გამოცხადებამ მას მოუსწრო კონინიოვში როგორც დრაგუნთა ერთ-ერთი პოლკის რიგითს ჯარისკაცს. აქედან დაიწყო იმიერბალკანეთის ლაშქრობა, რომლის გამორჯვებებსა და ამბებს იგი თავის დღიურში იწერდა.

არმიაში იგი ცდილობდა რაც შეიძლება მეტ ხანს დარჩენილიყო უბრალო ჯარისკაცად, რათა პირადად ენახა ყველაფერი და შესაძლებლობა ჰქონოდა ეფორი მკაფიოდ და სწორად აესახა ყოველივე განცდილი თავის ჩანაწერებში.

მაგრამ მალე იგი გადაყვანილ იქნა თერგის კაზაკთა პოლკში, სადაც დანიშნა მ. სკობელევის ორდონანტად. დონანზე გადასვლისას პირველად მოხვდა ბრძოლაში.

რო

# ჩვენს აზრე-მაზრეში

ფოტორეპორტაჟი

## სიასხლეთა ეჭრანი

ვლეფონის ავტომატში 15-კაპიკიან მონეტას ჩაუშვებთ, აკრეფთ მოსკოვის ტელეფონის თქვენთვის საჭირო ნომერს, და მყისვე შეუერთდებით სასურველ აბონენტს.

ასეთი მოხერხებული სატელეფონო ავტომატით, რომელიც დადგმულია თბილისის კავშირგაბმულობის №-4 განყოფილების საღამაროაკო პუნქტში, უკვე ისარგებლა რესპუბლიკის დედაქალაქის მრავალმა მცხოვრებმა.

ახლა პირდაპირი ავტომატური სატელეფონო კავშირი დამყარებულია აგრეთვე ერევანთან, სოხუმთან, ქუთაისთან.

**სურათზე:** მოსკოვთან ლაპარაკი ავტომატით.



**ახალი** კეთილმოწყობილი სათავსი მიიღო № 39 აფთიაქმა, რომელიც თბილისში კეკელიძის ქუჩაზეა, აფთიაქი აღჭურვილი იქნება უახლესი ინვენტარით და მოწყობილობით.

**სურათზე:** **რეცეპტარ-კონტროლიორი** გ. ჯალიაშვილი და **ფარმაცევტი** ი. ციცეშვილი **დგამენ** **ასისტენტო** **მაგიდას.**

**თბილისის** საპარფიუმერიო ფაბრიკა „ივერიამ" გამოუშვა ორიგინალური „პარფიუმერიული სუვენირები — ღია ბარათები მიკროსუნამოთი. მათ ეწოდება „თინთინი", „ამირანი" და სხვ.

**სურათზე:** **თბილისის** № 95 **საპარფიუმერიო** **მაღაზიის** **გამყიდველი** ლ. **მამასახლისი** **პარფიუმერიული** **სუვენირებით.**

ფოტო ს. კილაძისა.

## პირველი მაყრიონი

— მხვალო ღვთისა დარეჯან!

— მონავ ღვთისა ამირან! — ასე იწყებოდა წინათ ჯვარისწერა სოფლის ეკლესიაში. ასე იყო ზუმლაყმიც, ასეთი იყო დალი ბურდიაშვილისა და მირიან გიოშვილის, ციცინო მამათელაშვილისა. და გივი არჩევნიშვილის პაპებისა და ბებიების ბედიც, მაგრამ სხვაგვარად აეწყო შვილიშვილების ცხოვრება.

საკოლმეურნეო შრომაში გაიცნეს გულისწორებმა ერთმანეთი. მათმა მარჯვენამაც დადო აგური აგურზე და გურჯაანის რაიონის თვალი—ზუმლაყი კულტურის სასახლით, სოფლის საავადმყოფოთი და სხვა სიკეთით ქალაქივით მიმზიდველი და გულღია გახდა. მერე, როცა საკოლმეურნეო ქორწინების სახლს ჩაუყარეს საძირკველი, ორივე ბრიგადირმა მირიანმა და გივიმ გუნებაში ჩაიდეს ბედნიერების სახლის მეკვლეობა...

— მხვალო ღვთისა, მონავ ღვთისა!— არავის ურქვამს!—ძველი ეკლესიის მაგიერ დალის, ციცინოს, მირიანსა და გივის სიყვარულისა და ნათელი ცხოვრების კარი გაუღო მათივე ხელით ნაშენმა ქორწინების სახლმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. უტიაშვილმა დალოცა პირველ მაყრიონი — სოფლის მშრომელ ახალგაზრდობას ამცნო ღირსეულთა შეუღლება. შვიდმა გურჯაანელმა — კაცურმა შვიდკაცამ დაგუგუნა სიყვარულისა და შრომის საგალობელი. (საკ. კორ.).

## ახალი ხიდი

**უაზბეგი.** (საკ. კორ.). წყალდიდობამ დაზიანა ხიდი, რომელიც სოფელ ყანობის მშრომელებს რაიონულ ცენტრთან აკავშირებდა, ახლახან ყანობელებმა მშვენიერი საჩუქარი მიიღეს, დამთავრდა ახალი კაპიტალური ხიდის აგება თერგზე, რომელზეც თავისუფლად დადის. ყოველგვარი ტრანსპორტი.

## გზები მთის სოფლებში

**თელავი.** (საკ. კორ.). ფშავლის კოლმეურნეობა ორ სოფელს აერთიანებს. ამ ვეებერთელა კოლმეურნეობას უგზოობა აწუხებდა. სწორედ ამიტომ შეიქმნა საგზაო ბრიგადა, რომელსაც მ. მჭედლიშვილი ხელმძღვანელობს. აქ, გარდა იმისა, რომ გასწორდა ნაფარეულ-ლალისყურის ფშავლის ტრასა, დიდძალი სამუშაოები შესრულდა სოფლის შიდა სამიმოსვლო გზების მოპირკეთებისათვის. კეთილმოწყობ მთის სოფლის ლეჩურის დამაკავშირებელი გზა, აშენდა ბოგირები, რის გამოც მოსახლეობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს.

## დიპლომი გადაეცა

**საქართველოს** ჟურნალისტთა კავშირმა და საქართველოს ჯვაცენტრალური კომიტეტის თამოკავშირმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოსცის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ვასილ ლათირაშვილის წიგნი „მაიაკოვსკი და ოქტომბრის რევოლუცია", რომელშიც განხილულია მაიაკოვსკის სახელგანთქმული პოემები „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი" და „ჯარგალ".

ვასილ ლათირაშვილის წიგნი „მაიაკოვსკი და ოქტომბრის რევოლუცია" წარდგენილი იყო მეცნიერულ-ჰუმანიტარული ლიტერატურის სტუდიოსი ნაწარმოებთა საკავშირო კონკურსზე. ამ დღეებში წიგნის ავტორს გადაეცა საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" დიპლომი.

## ფართოვდება სავაჭრო ქსელი

**ტყიბული,** (საკ. კორ.). უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სასოფლო სავაჭრო ქსელი. ამ ცოტა ხნის წინათ გურნაში აშენდა ორსართულიანი, კეთილმოწყობილი უნივერმაღი, სოფელ ორპირის ცენტრი დაამშვენა ახალადაგებულმა სასურსათო პავილიონმა. დაპროექტებულია და აქვე აშენდება ორსართულიანი სავაჭრო ცენტრი.

## ახალი მისამართები

**რუსთავი.** (საკ. კორ.). მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქში განვლო კიდევ რამდენიმე ახალი მისამართი. მეგობრობის პროსპექტზე № 32 სახლში ორმოცდახუთმა ოჯახმა მიიღო საცხოვრებელი ბინა. ფოსტალიონის ჩანთა ერთობ გაზარდა ამ მცხოვრებთა სახელზე მოსოლმა გზავნილებმა.

ახლო მომავალში იმავე მეგობრობის პროსპექტზე კიდევ ჩაბარდება ერთი 90-ბინიანი სახლი, რომელშიც ძირითადად მეტალურგები ჩასახლდებიან.



**წყნარი** ოკეანის წითელდროშოვანი ფლოტი. წყნარი ოკეანის სივრცეებში ეწევიან სამსახურს გვარდიულ რაკეტულ კრეისერ „ვარიაგის" მეზღვაურები. კრეისერის პირადი შემადგენლობა ხელოვანი ტრადიციების ერთგული, კარგად და ფრიადი შეფასებით ასრულებს რაკეტულ-საარტილერიო სროლის ყველა ამოცანა. ეკიპაჟის შემადგენლობის 74 პროცენტი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნებია.

* * *

**სურათზე:** მარცხნივ — შორეული აღმოსავლეთის ნაპირებთან, იქ, სადაც რუსეთ იწყება, ეწევა სამსახურს გვარდიული რაკეტული კრეისერის — „ვარიაგის" ეკიპაჟი.

**ირკუტსკი.** ბეწვეულის ბაზაში ცომბრელი მონადირეებისაგან მიიღეს ციყვისა და ონდატრის პირველი ტყავები. ბაზის საამქროები მალე გაიგსება სიასამურის, წაულას და სხვა ბეწვიანი ნადირის ტყავებით. ბეწვეულის მომავალ საერთაშორისო აუქციონზე! ბევრი რამ იქნება წარდგენილი.

* * *

**სურათზე:** მარჯვნივ — ახალი ხანადირო სეზონის ციყვის ბეწვის პირველი პარტია.

**კომის** ასსრ. მალე დამთავრდება მშენებლობა გაზსადენ „ჩრდილოეთის ნათების", რომელიც ვუქრილის გაზკონდენსატის უნიკალურ საბადოს შეაერთებს ცენტრთან. მსოფლიო პრაქტიკაში პირველად ათას კილომეტრზე მეტ მანძილზე ჩაწყობილია მიწაში 1220 მილიმეტრი დიამეტრის ფოლადის მილები.

* * *

**სურათზე:** ქვემოთ — გაზსადენ „ჩრდილოეთის ნათების" მშენებლობაზე. ტრასის უკანასკნელი პირაპირების. შედუღება უსტა-მეკოგის უბანზე.

(საკადრისის ფოტოქრონიკა).



## ნაირ-ნაირი

### ოპერაცია ფარმატებით დამთავრდა

**ბელგრადი,** 31 იანვარი. (საკადეს). ქალაქ სკოპლეს საშემდეგინო ფაკულტეტის ორთოპედიულ კლინიკის ასალგაზრდა ქირურგთა ჯგუფმა გააკეთა მუხლის სახსრის ტრანსპლანტაციის წარმატებითი ოპერაცია.

ამას იუწყება ტანიუგის სააგენტო.

ოპერაციის შემდეგ, რომელიც სამ საათს გაგრძელდა, კლინიკის დირექტორმა პროფესორმა დ. სუშჩმა განაცხადა, რომ ეს არის იუგოსლავიაში პირველი ასეთი ოპერაცია და მან წარმატებით ჩაიარა.

მუხლის ტრანსპლანტაციაა ვაუკეთეს 30 წლის სკოპლელ მოსამსახურეს დ. მიტრევსკის. დონორი იყო 25 წლის ჭაბუკი, რომელიც დაიღუპა საავტომობილო კატასტროფის დროს.

### დაიწყო ქრომიზელი სეზონი

**ბათუმი.** (საკ. კორ.). მიმდინარე წელს პირველი ქრომიზელი სეზონი ბათუმში გახსნა ლენინრმა „ივანე ფრანგიშვილმა", რომელმაც ოქტომბერიდან და ოლდადგომიდან ჩამოიყვანა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავენი.

სტარმრეშმა დაათვალიერეს ქალაქი და მისი გარეუბნის ლენინურ-მეშენაშენობანი.

## ციმბირში ვაზი ზარობს

— ციმბირში, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში — მთიან ალტაიში — ვაზის გაშენების პრობლემა გადაჭრილია, — განუცხადა ახალი ამბების საკგენტოს კორესპონდენტს ციმბირის სამეურნეო მევენახეობის ცნობილმა უნუფუნიასტმა სიბეჭოთა მეურნეობა „ბელოკურიხის" აგრონომმა ვალერი ნედინმა.

„აგრონომმა ნედინმა და მისმა თანამშემწეებმა რამდენიმე წლის წინათ ხელი მოჰკიდეს ციმბირში ვენახებია შექმნას და დამტკიცეს, რომ მეცერ ადგილობრივ პირობებში ყურძნის მოყვანა შესაძლებელია.

— ვაზი გაშობრძმედილ ციმბირელი გახდა, — თქვა ნედინმა. — თუმცა ამჟამად ადგილობრიული სიცივეები დგას, მაგ, რომ შევინარჩუნებო, ეს ალარ გვაეშეებს. მაგალითად, შარშანდელ ზამთარში ტემპერატურამ დაიწია ხოლმე მინუს 54 გრადუსამდე ცელსიუსით. ვაზლის ძველი ბალები იმ წელიწადს პრაქტიკულად გაიყინა, თოვლით კარგად დაფარულმა ვაზმა კი გამოიზამთრა. შარშან თოვლის საფარი თხელი იყო — სულ 10-15 სანტიმეტრი, მაგრამ ვენახმა ჩინებულად გაძლო ბოლიქლორიანელის აფსკის ქვეშ და ზაფხულში საცდელი პლანტაციის ბრსებობის მთელი დროის მანძილზე ყველაზე მაღალი მოსავალი მოგვცა: ჰექტარზე 60 ცენტნერი. ჩვენ უკვე გვაქვს ბევრი საკუთარი საადგილო ჯიში ციმბირისათვის. მცდელი მიჩურინელები თვრთო ცდილობენ, სწავლობენ ციმბირის ჰავის პირობებში ვაზისა და ყურძნის ავადმყოფობას. წინ კიდევ ბევრი სამუშაოა, მაგრამ მთავარი გაკეთებულია: სამხრეთის კულტურა — ვაზი ყველაზე ადვილ ციმბირულ ყინვებს უძლებს. ახლა ციმბირელი მეგაბალები ვაზის 11 ათას ნერგს მიიღებენ.

**ნიკოლოზ მეინსაკი,**
ახალი ამბების საკგენტოს
კორესპონდენტი.

## სპორტი

### ჩემპიონს მატჩი გამოაკლენს

რეგბორგ ბიუწყებოდით, საკავშირო საკადრაკო ჩემპიონატზე გროსმაისტერება პოლუგაევსკიმ და ა. ზაიცევმა 12.5-12,5 ქულა შეაგროვეს და პირველი და მეორე ადგილი გაიყვეს. ჩემპიონის გამსაკვლევლად მათ შორის მოეწყობა დამატებითი მატჩი ექვსი პარტიისაგან. სად ან როდის გათამაშდება ეს მატჩი, ამას სსრ კავშირის ფედერაციის ფედერაცია გადაწყვეტს.

გუშინ გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ გამოვლინდა ბრინჯაოს პრიზიორი. ეს არის ლუტიკოვი, რომელმაც 11,5 ქულა შეაგროვა. მეოთხე და მეხუთე ადგილები 11-11 ქულით გაიყვეს ლიბერზონმა და ცუკოვსკიმ. მომდევნო ხუთ ადგილზე გამოსულმა მოკადრაკეებმა 10,5-10,5 ქულა შეაგროვეს. ესენი არიან — ხოლმოვი, ტალი, ვასიუკოვი, პოდგაეცი, კლოვანი. ჩვენი ტანსუბეროკის წარმომადგენელმა საერთაშორისო ოსტატმა გურგენიძემ 8.5 ქულა შეაგროვა (3 მოგება, 11 ყაიმი, 5 წაგება).

გუშინ ალაამა-ატაში ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურა, გამარჯვეულებს გადასცეს პრიზები.

### კალათბურთის ფარეგობაკ

**უმაღლესი** ლიგის კალათბურთელ ქალთა 12 კოლექტივი ლენინგრადში განაგრძობს შრომლას ჩვენი ქვეყნის პირველობისათვის.

31 იანვარს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა" კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა აქტივში. ამჯერად მან დაამარცხა ნოვოსიბირსკის დინამოელები 86:68. კვლავ წარუმატებლად გამოდის საქართველოს პედაგოგიკური ინსტიტუტის გუნდი. თბილისელებმა წააგეს მატჩი ვილნიუსის „ციბირკ"-თან 46:71. ტარტუს უნივერსიტეტის ბაკლუბმა გუნდისა და კიევის „დინამოს" შეხვედრა დამთავრდა პირველის გამარჯვებით 71:65.

## ნაბიჯი

**3 თებერვალი**

პირველი პროგრამა

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — დილის კონცერტი, 08.10 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები. 09.25 — ა. ხაჩატურიანი. კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. 11.05 — დ. თორაძე. მუსიკა კინოფილმებიდან. 11.45 — ლ. ბეთოვენი. ირანული სტილის პიესები „რადიფი". 12.10 — საუბარი „პარტიული ორგანიზაცია პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში". 12.25 — ბელინი. ნაწყვეტები ოპერიდან „ნორმა". 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი). 13.40 — ვ. ცაგარეიშვილი. საფორტეპიანო ნოველები და სიმღერები. 14.00 — მენდელსონი. მესამე სიმფონია „შოტლანდიური" (მოსკოვი). 15.00 — „რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში" (მოსკოვი). 15.30 — „მეგობრების ხმები". გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი). 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის. ციკლიდან „მოგზაურობა ეროვნის სამყაროში". რადიოდადგმა „მეცნიერება და ფანტასტიკა". 18.10 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — რუმინული მუსიკა. 19.00 — საუბარი „ნეოხაციზმი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში: ფესვები, ideologia, პროგრამა" (ვადაციმა მესამე), 19.15 — ა. შავერდაშვილი. საბიოლინო კონცერტი, 19.45 — ა. ბლაზუნოვი. ნაწყვეტები ბალეტიდან „რაიმონდა". 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — ა. ბუნია. ნაწყვეტები ოპერიდან „არსენა", 21.00 — „ძიოლსპორტული", 21.15 — საუბარი „ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ". 21.45 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — უკრა